



ვამტკიცებ

ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის

რექტორი  ი. შარაბიძე



20.09.2016

განვითარების სტრატეგიული გეგმა

(2017-2023 წწ.)



სარჩევი

1	შესავალი	3
2	საზღვაო განათლების მოკლე ისტორია საქართველოში	4
3	ხედვა, მისია და მიზანი	7
4	ძლიერი და სუსტი მხარეების, შესაძლებლობებისა და საფრთხეების გაანალიზება/ Strength, Weakness, Opportunity, Threat (SWOT)	9
5	სტრატეგიული მიზნები	13



1. შესავალი

წინამდებარე განვითარების სტრატეგიული გეგმა შემუშავებულია საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სასწავლო უნივერსიტეტი – ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული როგორც საზღვაო აკადემია) სტრატეგიული დაგეგმვის კომისიის მიერ და განსაზღვრავს საზღვაო აკადემიის საგანმანათლებლო აქტივობების შემდგომი განვითარების ძირითად მიმართულებებს, გრძელვადიან მიზნებს და ამ მიზნების მიღწევის შესაძლებლობებს მომდევნო 7 წლის (2017-2023 წწ) განმავლობაში.

განვითარების სტრატეგიული გეგმა შედგენილია საქართველოს კანონმდებლობის, საზღვაო აკადემიის წესდების, შიდა ნორმატიული დოკუმენტის „სტრატეგიული გეგმის შედგენის პროცედურისა“ და სხვა ნორმატიული დოკუმენტების საფუძველზე.

სტრატეგიულ გეგმაში განსაზღვრული მიზნები შეესაბამება საზღვაო აკადემიის მისიას, ეფუძნება საზღვაო აკადემიის არსებულ მდგომარეობას, აგრძელებს ისტორიულად ჩამოყალიბებულ ტრადიციებს და ითვალისწინებს ქვეყანაში და მსოფლიოში განვითარებულ თანამედროვე ტენდენციებს.

სტრატეგიულ გეგმაში განსაზღვრული მიზნები და ამოცანები ორიენტირებულია სტუდენტების, მოქმედი მეზღვაურების, სხვა სტეიკჰოლდერებისა და დაინტერესებული საზოგადოების მოთხოვნების დაკმაყოფილებისაკენ მიიღონ ხარისხიანი საგანმანათლებლო, კვლევითი და საინფორმაციო მომსახურება.



2. საზღვაო განათლების მოკლე ისტორია საქართველოში

თანამედროვე ტიპის საზღვაო განათლებას საქართველოში აქვს საუკუნოვანი ისტორია. ჯერ კიდევ მე-20 საუკუნის დასაწყისში - 1901 წელს ნიკო ნიკოლაძის აქტიური მონაწილეობით ფოთში ჩამოყალიბდა პირველი საზღვაოსნო კლასები. 1918 წელს საზღვაო კადრების ნაკლებობის გამო ფოთში გაიხსნა საზღვაოსნო სასწავლებელი. 1921 წლიდან ბათუმში ფუნქციონირებდა სამხედრო-საზღვაო სასწავლებელი, ხოლო 1929 წელს ბათუმის საზღვაო პორტში ჩამოყალიბდა საღამოს საზღვაო კურსები, რომელიც შემდეგ გადაკეთდა საღამოს საზღვაო ინდუსტრიულ ტექნიკუმად. ფოთის საზღვაოსნო სასწავლებელი მოქმედებდა 1930 წლამდე, 1930 წელს სასწავლებლის ბაზაზე ჩამოყალიბდა ფოთის საზღვაო ტექნიკუმი, რომელიც 1939 წელს შეუერთდა ბათუმის საზღვაო ტექნიკუმს. 1944 წლის 5 მარტს ბათუმის საზღვაო ტექნიკუმი გადაკეთდა დახურული ტიპის ბათუმის საზღვაოსნო სასწავლებლად.

1990 წელს ბათუმის საზღვაოსნო სასწავლებლის ბაზაზე შეიქმნა ნოვოროსიისკის უმაღლესი საზღვაო-საინჟინრო სასწავლებლის სასწავლო-საკონსულტაციო პუნქტი რომელიც 2 წლის შემდეგ 1992 წლის 30 ივლისს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის №772 დადგენილების საფუძველზე დაფუძნდა, როგორც ბათუმის უმაღლესი საზღვაო სასწავლებელი.

1994 წლის 28 თებერვალს გამოიცა საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის დადგენილება №121- ბუსს-ის ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიად გარდაქმნის შესახებ.

საქართველოს მთავრობის 2012 წლის 25 ივნისის №228 დადგენილების საფუძველზე განისაზღვრა საზღვაო აკადემიის დღევანდელი იურიდიული სტატუსი: საქართველოს



ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების საჯარო სამართლის იურიდიული პირი - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია.

საგანმანათლებლო და სხვა სახის საქმიანობა საზღვაო აკადემიაში ხორციელდება “უმაღლესი განათლების შესახებ”, “პროფესიული განათლების შესახებ”, “მეზღვაურთა განათლებისა და სერტიფიცირების შესახებ” საქართველოს კანონებისა და საკუთარი წესდების შესაბამისად. საქართველო წარმოადგენს საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის (IMO) წევრ ქვეყანას, ამიტომ IMO-ს მიერ აღიარებულ ნორმატიულ დოკუმენტებსა და საერთაშორისო კონვენციებს საზღვაო აკადემიისათვის აქვს კანონის ძალა.

2001 წლის 6 თებერვალს რუსეთის საზღვაო რეგისტრმა, ჩატარებული სასერთიფიკაციო შემოწმების შედეგების მიხედვით, საზღვაო აკადემიას მიანიჭა საეთაშორისო ხარისხის სისტემის ISO 9001-1994-ის შესაბამისობის სერთიფიკატი, რომელიც პირველი იყო პოსტსაბჭოთა სივრცეში არსებულ საზღვაო სასწავლებლებს შორის.

2016 წლის მაისში ჩატარებული საერთაშორისო აუდიტის საფუძველზე ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიამ გაიარა საერთაშორისო ხარისხის მენეჯმენტის სისტემის – ISO 9001-2008-სა და IQNet-ის ხარისხის მართვის შესაბამისობის რესერტიფიკაცია.

საერთაშორისო სტანდარტების დამკვიდრება საზღვაო კადრების მომზადების საქმეში ხორციელდება მჭიდრო თანამშრომლობის საფუძველზე საზღვაო უნივერსიტეტების საერთაშორისო ასოციაციასთან (IAMU), რომლის წევრი საზღვაო აკადემია გახდა 2006 წლის 17 ოქტომბერს.

საზღვაო აკადემია (ორმხრივი ხელშეკრულების საფუძველზე) აქტიურად თანამშრომლობს საზღვაო კადრების მომზადების აღიარებულ საგანმანათლებლო ცენტრებთან რეგიონსა და მსოფლიოში, როგორებიცაა: ოდესის ნაციონალურ საზღვაო



აკადემია (ONMA), აზერბაიჯანის სახელმწიფო საზღვაო აკადემია (ASMA), ტალინის ტექნოლოგიური უნივერსიტეტის საზღვაო აკადემია (EMA), გდინის (GMU) და შეცინის (SMU) საზღვაო უნივერსიტეტები პოლონეთში, სტამბოლის ტექნოლოგიური უნივერსიტეტის საზღვაო ფაკულტეტი (ITU MF), კონსტანცის საზღვაო უნივერსიტეტი (CMU) და სხვა. საზღვაო აკადემიის თანამშრომლობა უცხო ქვეყნების საზღვაო განათლების ცენტრებთან და საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციებთან მიზნად ისახავს ქართული საზღვაო სკოლის სტატუსის ამაღლებას და ჩვენს მიერ მომზადებული/გადამზადებული კადრების დასაქმების ხელშეწყობას შრომის საერთაშორისო ბაზარზე.

საზღვაო აკადემიამ 2004 და 2006 წლებში წარმატებით გაიარა სახელმწიფო ინსტიტუციური აკრედიტაცია, 2011 წელს ავტორიზაცია, ბაკალავრიატის 5 და მაგისტრატურის 2 საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაცია. 2012-2016 წლებში აკრედიტებულ პროგრამებს დაემატა კიდევ ბაკალავრიატის 4 და მაგისტრატურის 4 საგანმანათლებლო პროგრამა.

2015 წლის ავტორიზაციის საფუძველზე აკადემიის სტუდენტთა დასაშვებმა კონტიგენტმა შეადგინა - 2500 სტუდენტი, 2300 უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე და 200 პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე.

2016 წლის 1-ელი დეკემბრის მდგომარეობით საზღვაო აკადემიაში უმაღლესი განათლების საფეხურზე ირიცხება 2142 სტუდენტი, აქედან:

- ბაკალავრიატის 2079 სტუდენტი;
- მაგისტრატურის 63 სტუდენტი.



3. ხედვა, მისია და მიზანი

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სასწავლო უნივერსიტეტი – ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია წარმოადგენს საქართველოს კანონმდებლობით სახელმწიფოს მიერ დაფუძნებულ, ავტორიზებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას, რომელიც 2016-2017 სასწავლო წლის დაწყების მდგომარეობით ახორციელებს:

1. უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის – ბაკალავრიატის 7 საგანმანათლებლო პროგრამას;
2. უმაღლესი განათლების მეორე საფეხურის - მაგისტრატურის 7 საგანმანათლებლო პროგრამას;
3. პროფესიულ განათლების მე-3 საფეხურის 3 საგანმანათლებლო პროგრამას;
4. მოქმედ მეზღვაურთა კვალიფიკაციის განახლების/ამაღლების 39 საწვრთნელ კურსს;
5. რეგიონის ტურისტული ინფრასტრუქტურის მომსახურე პერსონალის მომზადების/გადამზადების 5 საწვრთნელ კურსს;
6. საქართველოს კანონმდებლობით ნებადართულ სხვა საგანმანათლებლო და აღმზრდელობითი ხასიათის საქმიანობას.

ხედვა

ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის ადმინისტრაციისა და პერსონალის ძალისხმევა მიმართულია იქითკენ, რომ გადავაქციოთ საზღვაო აკადემია ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებად, რომელიც მიმზიდველი იქნება ყველასათვის, ვისაც საზღვაო ინდუსტრიის სფეროში სურს

ND 2-006-01

სტატუსი: მოქმედი

რევიზია № 2

რევიზიის თარიღი 20.09.2016

მოქმედებაშია 02.09.2010

მოქმედად არ მათვალვება დოკუმენტის აჩვენები ნაბეჭდი ასლი თუ მას არ აქვს რევიზია „დროებითი ვებ-პორტალი“. რევიზია ასევე დაატანეს პროცესზე პასუხისმგებელი პირის მოთხოვნით. წინასწარ შეზღუდვაში ასლი მათვალვება როგორც „არაკონტროლირებადი“ დოკუმენტი და მასზე ხარისხის საშუალო პასუხისმგებლობას არ იღებს. დოკუმენტის ხილი და კონტროლირებადი ასლი იხილოთ ვებგვერდზე www.office.bsma.edu.ge



მიიღოს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი უმაღლესი ან/და პროფესიული განათლება.

მისია

საზღვაო აკადემიის მისიაა:

1. ჩამოყალიბდეს სწავლებისა და კვლევის თანამედროვე, ინოვაციურ მეთოდებზე დაფუძნებულ, უწყვეტი განათლების განმახორციელებელ, ხელმისაწვდომ უნივერსიტეტად, რომელიც იხელმძღვანელებს რა დემოკრატიისა და ჰუმანიზმის პრინციპებით, უზრუნველყოფს სწავლის, სწავლებისა და კვლევის აკადემიურ თავისუფლებას და განათლებისა და დასაქმების სფეროში წარმატების მისაღწევად ითანამშრომლებს სტუდენტებთან, პერსონალთან, დამსაქმებლებთან და საზოგადოების ყველა დაინტერესებულ პირთან;
2. მოამზადოს თანამედროვე მოთხოვნების შესატყვისი კომპეტენციის მქონე პასუხისმგებლიანი ლიდერები, რომელთაც ექნებათ პროფესიული პრობლემების იდენტიფიცირებისა და გადაჭრის, პიროვნული პოტენციალის რეალიზებისა და კომუნიკაციის უნარები, მაღალი ეთიკური ნორმები, რაც უზრუნველყოფს მათ კონკურენტუნარიანობასა და კარიერულ წარმატებას შრომის ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზარზე;



4. ძლიერი და სუსტი მხარეების, შესაძლებლობებისა და საფრთხეების გაანალიზება/ Strength, Weakness, Opportunity, Threat (SWOT)

ძლიერი მხარეები	სუსტი მხარეები
85-წლიანი ისტორია და ტრადიციები	არასაკმარისი ფინანსური რესურსები.
კომპეტენტური და ტოლერანტული კოლექტივი	საზღვაო პრაქტიკის ორგანიზებისათვის აუცილებელი რესურსების ნაკლებობა. საზღვაო აკადემიას არ გააჩნია საზღვაოსნო პრაქტიკის ჩატარებისათვის საჭირო საწვრთნელი გემი.
თანამედროვე ტრენაჟერებით დაკომპლექტებული მეზღვაურთა განათლების, წვრთნისა და სერტიფიცირების ცენტრი	ნაციონალური გამომწვევადი და კრუინგული კომპანიების სიმცირე
მეზღვაურთა მომზადების პროცესის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის აღიარება ევროპის საზღვაო უსაფრთხოების სააგენტოს (EM SA) მიერ.	სტუდენტთა საერთო საცხოვრებლის კორპუსის დიდი ნაწილის გადაცემულია საომარი მოქმედებების შედეგად იძულებით გადაადგილებულ პირებზე და საქართველოს თავდაცვის სამინისტროზე, რის გამოც აკადემია საცხოვრებელი ფართით ვერ უზრუნველყოფს საქართველოს სხვა რეგიონებიდან და სხვა ქვეყნებიდან ჩარიცხულ სტუდენტებს.



<p>ახლომდებარეობა დიდ პორტებთან (ბათუმის, ფოთისა და ყულევის პორტები, სუფსის ტერმინალი)</p>	<p>ქართული საზოგადოების არასაკმარისი ინფორმირებულობა საზღვაო განათლების მიზნების, შესაძლებლობებისა და პერსპექტივების შესახებ</p>
<p>საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისობა ბოლონიის პროცესის ძირითადი დოკუმენტებისა და ECTS-ს მოთხოვნებთან</p>	<p>არსებული სასწავლო ფართი არ იძლევა სტუდენტთა კონტინენტის გაზრდას და ახალი საგანმანათლებლო პროგრამების ამოქმედებას</p>
<p>საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაცია ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ და აღიარება საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს მიერ.</p>	<p>არასაკმარისია წიგნადი ფონდი ბიბლიოთეკაში. ნაკლებია საზღვაო სფეროსთან დაკავშირებული ნაციონალური პერიოდული გამოცემები (ჟურნალები) და კვლევითი მასალები. შეზღუდულია საერთაშორისო სასწავლო და საინფორმაციო წყაროების ხელმისაწვდომობა.</p>
<p>თანამშრომლობის შესახებ ორმხრივი მემორანდუმები და ხელშეკრულებები რეგიონისა და მსოფლიოს წამყვან საზღვაო სასწავლებლებთან</p>	<p>სადოქტორო პროგრამების არ არსებობა და კვლევითი პროგრამების ნაკლებობა.</p>
<p>საგანმანათლებლო პროცესისა და სხვა საქმიანობის მართვა ხარისხის მართვის</p>	<p>საზღვაოსნო მეცნიერებაში სრულფასოვანი სამეცნიერო აქტივობის დაბალი დონე.</p>

ND 2-006-01
სტატუსი: მოქმედი
რევიზია № 2
რევიზიის თარიღი 20.09.2016
მოქმედებაშია 02.09.2010

შეუქმედად არ ჩაითვლება დოკუმენტის აჩვენების ნაბეჭდი ასლი თუ მას არ აქვს რევიზიის ანალოგიური კვანძები. რევიზიის ასლზე დაატანეს პროცესზე პასუხისმგებელი პირის მოთხოვნით, წინააღმდეგ შემთხვევაში ასლი ჩაითვლება როგორც „არაკონტროლირებადი“ დოკუმენტი და მასზე ხარისხის სამართლიან პასუხისმგებლობას არ იღებს. დოკუმენტის ხილი და კონტროლირებადი ასლი იხილოთ ვებგვერდზე www.office.bsma.edu.ge



<p>საერთაშორისო სისტემის – ISO 9001:2008-ის სტანდარტების შესაბამისად (ISO 9001:2008-ის სერტიფიკატი, IQNet-ის სერტიფიკატი)</p>	
<p>საერთაშორისო საზღვაო უნივერსიტეტების ასოციაციის (IAMU) და შავი ზღვის ქვეყნების საზღვაო ინსტიტუტთა ასოციაციის (BSAMI) წევრობა</p>	<p>უცხო ქვეყნის მოქალაქე სტუდენტების ნაკლებობა</p>

საფრთხეები	შესაძლებლობები
<p>მასწავლებელთა და ინსტრუქტორთა დაბალი ანაზღაურება (საზღვაო ტრანსპორტზე - გემებზე დასაქმებულთა ანაზღაურებასთან შედარებით) არ იძლევა თანამედროვე დონის ცოდნით აღჭურვილი კადრების ჩაბმას საგანმანათლებლო პროცესში.</p>	<p>ხელმძღვანელობა მზად არის განახორციელოს ყველა ის ცვლილება, რომელიც აამაღლებს საზღვაო პროფესიული განათლების დონეს აკადემიაში და ქვეყანაში.</p>
<p>დაფინანსების გაზრდის გარეშე შეუძლებელია თანამედროვე რესურსტევადი საზღვაო განათლების</p>	<p>საქართველოს ხელისუფლებისა და საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციების დახმარებით</p>

ND 2-006-01
სტატუსი: მოქმედი
რევიზია № 2
რევიზიის თარიღი 20.09.2016
მოქმედებაშია 02.09.2010

მოქმედად არ ჩაითვლება დოკუმენტის აჩვენები ნაბეჭდი ასლი თუ მას არ აქვს რევიზია "დრეფტული ვერსიის" რევიზია ასლზე დაატანეს პროექტზე პასუხისმგებელი პირის მოთხოვნით. წინააღმდეგ შემთხვევაში ასლი ჩაითვლება როგორც "არაკონტროლირებადი" დოკუმენტი და მასზე ბარიბის სმსპური პასუხისმგებლობა არ იქნება. დოკუმენტის ხილი და კონტროლირებადი ასლი იხილოთ ვებგვერდზე www.office.bsma.edu.ge



<p>სრულფასოვანი უზრუნველყოფა, რაც მომავალში შესაძლებელია გახდეს საერთაშორისო აღიარების შეწყვეტის მიზეზი.</p>	<p>შესაძლებელია სასწავლო კორპუსების დაკომპლექტება თანამედროვე საწვრთნელ-ტრენაჟერული აღჭურვილობით.</p>
	<p>საქართველოს კანონმდებლობა საშუალებას იძლევა ავამოქმედოთ ყველა დონის საგანმანათლებლო პროგრამები, რაც იძლევა შესაძლებლობას, ერთ ბაზაზე განხორციელდეს საზღვაო სპეციალისტების მომზადების სრული სპექტრი.</p>
<p>ბათუმში კიდევ ორი აკრედიტებული უმაღლესი საზღვაო სასწავლებლის არსებობა, რომელთაც შეუძლიათ კონკურენციის გაწევა როგორც კვალიფიცირებული პედაგოგების მიზიდვაში, ასევე სტუდენტთა კონტიგენტის მიზიდვაშიც.</p>	<p>ახალი საგანმანათლებლო პროგრამების ამოქმედება უმაღლესი განათლების სამივე დონეზე და პროფესიულ განათლებაში</p>

ND 2-O06-01
სტატუსი: მოქმედი
რევიზია № 2
რევიზიის თარიღი 20.09.2016
მოქმედებაშია 02.09.2010

მოქმედად არ ჩაითვლება დოკუმენტის აჩვენაო ნაბეჭდი ასლი თუ მას არ აქვს რევიზიის "ღირებულებები". რევიზიის ასლზე დატანება პროცესზე პასუხისმგებელი პირის მოთხოვნით. წინასწარ შეთანხმება ასლი ჩაითვლება როგორც "არაკონტროლირებადი" დოკუმენტი და მასზე ბარიბის სანაბური პასუხისმგებლობას არ იღებს. დოკუმენტის ხილი და კონტროლირებადი ასლი იხილოთ ვებგვერდზე www.office.bsma.edu.ge



5. სტრატეგიული მიზნები

გამომდინარე მისიიდან და SWOT-ანალიზიდან, საზღვაო აკადემიის სტრატეგიული დაგეგმვის კომისიამ განსაზღვრა უახლოესი მომავლის პრიორიტეტები და ჩამოაყალიბა საზღვაო აკადემიის განვითარების 10 სტრატეგიული მიზანი მომდევნო 7 წლის ვადაში:

1. *სწავლის, სწავლებისა და წვრთნის მაღალი ხარისხის შენარჩუნება და შემდგომი გაუმჯობესება;*
2. *სასწავლო პროცესის უზრუნველყოფა თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი ინოვაციური საგანმანათლებლო პროგრამებით, რომლებიც ხელს შეუწყობს სტუდენტებში, კვლევის, ლიდერობისა პროფესიული უნარების განვითარებას;*
3. *აკადემიური კვლევების ხელშეწყობა და საზღვაო აკადემიის ჩამოყალიბება სრულფასოვან უნივერსიტეტად;*
4. *სტუდენტების საწარმოო პრაქტიკით უზრუნველყოფის გაუმჯობესება;*
5. *უწყვეტი განათლებისა და დისტანციური სწავლების სისტემების განვითარება;*
6. *სწავლებისა და წვრთნის პროცესისა და აკადემიური კვლევების უზრუნველყოფა თანამედროვე სასწავლო და საკვლევო ლაბორატორიებით, სიმულატორებითა და სხვა საჭირო აღჭურვილობით;*
7. *სასწავლო პროცესისა და აკადემიური კვლევების უზრუნველყოფა თანამედროვე პროფესიული ცოდნითა და სწავლების ინოვაციური მეთოდებით აღჭურვილი აკადემიური პერსონალით;*
8. *აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის სამუშაო პირობების გაუმჯობესება;*



9. საზღვაო აკადემიის თანამშრომლობის გაძლიერება დასაქმების სფეროსა და სხვა დაინტერესებული საზოგადოების წარმომადგენლებთან;

10. თანამშრომლობის გაფართოება და დაძლიერება ადგილობრივ, რეგიონალურ და საერთაშორისო ინსტიტუციებთან;

დასახული სტრატეგიული მიზნების მისაღწევად საზღვაო აკადემიამ მიზანმიმართულად და გეგმაზომიერად უნდა გადაჭრას ლოკალური ამოცანები, რომელიც უნდა აისახოს შესაბამის მოკლევადიან (წლიურ) სამოქმედო გეგმებში.

5.1. სტრატეგიული მიზანი 1: სწავლის, სწავლებისა და წვრთნის მაღალი ხარისხის შენარჩუნება და შემდგომი გაუმჯობესება.

აღნიშნული მიზნის მისაღწევად საზღვაო აკადემიამ უნდა გადაჭრას ქვემოთ ჩამოთვლილი ამოცანები:

1. სათანადოდ მომზადებული და ოპტიმალური რაოდენობის სტუდენტური კონტიგენტის მოზიდვა, მათი ჩარიცხვა და შენარჩუნება;
2. ძლიერი აკადემიური პროფილის უზრუნველყოფისათვის:
 - 2.1. კომპეტენტური და გამოცდილი პროფესორ-მასწავლებლების შენარჩუნება;
 - 2.2. ახალი, თანამედროვე დარგობრივი გამოცდილებით აღჭურვილი კადრების მოწვევა და ჩაბმა საგანმანათლებლო პროცესში;
3. სამუშაოების ჩატარება საზღვაო სპეციალობებზე გოგონების მოსაზიდად და გენდერული დისბალანსის შესამცირებლად;
4. ავტორიზაციისა და აკრედიტაციის დებულებებით მოთხოვნილი ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების გაძლიერება;



5. აბიტურიენტთა მოსამზადებელი ცენტრის ჩამოყალიბება, სადაც მომზადება განხორციელდება აკადემიაში ჩარიცხვისათვის და შემდგომში სწავლის გაგრძელებისათვის საჭირო (პრიორიტეტულ) საგნებში.

5.2. სტრატეგიული მიზანი 2: სასწავლო პროცესის უზრუნველყოფა თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი ინოვაციური საგანმანათლებლო პროგრამებით, რომლებიც ხელს შეუწყობს სტუდენტებში, კვლევის, ლიდერობისა და პროფესიული უნარების განვითარებას;

აღნიშნული მიზნის მისაღწევად საზღვაო აკადემიამ უნდა გადაჭრას შემდეგი ამოცანები:

1. დასაქმების ბაზრის რეგულარული კვლევა და უახლესი ინფორმაციის მოპოვება არსებულ სპეციალობებში ცვლილებების შეტანისა და ახალ სპეციალობებზე მოთხოვნის გაჩენის შესახებ;
2. საგანმანათლებლო პროგრამების საკვალიფიკაციო მოთხოვნების ჩამოყალიბება დასაქმების ბაზრის, სახელმწიფო მარეგულირებელი სამსახურებისა და სხვა დაინტერესებული პირების სრულფასოვანი ჩართულობით;
3. ინგლისურ და რუსულენოვანი საგანმანათლებლო პროგრამების მომზადება და აკრედიტაცია;
4. პარტნიორ უნივერსიტეტებთან ერთად ერთობლივი სამაგისტრო და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების შექმნა და აკრედიტაცია;
5. ახალი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება, აკრედიტაცია და ამოქმედება.



5.3. სტრატეგიული მიზანი 3: აკადემიური კვლევების ხელშეწყობა და საზღვაო აკადემიის ჩამოყალიბება სრულფასოვან უნივერსიტეტად;

აღნიშნული მიზნის მისაღწევად საზღვაო აკადემიამ უნდა გადაჭრას შემდეგი ამოცანები:

1. შიდააკადემიური საგანმანათლებლო და საკვლევო პროექტების ინიცირება და მათი განხორციელებისათვის დაფინანსების წყაროების მოძიება;
2. საერთაშორისო, ეროვნულ და შიდააკადემიურ საკვლევო პროექტებში აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების მონაწილეობის წახალისება;
3. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და აკრედიტაცია.

5.4. სტრატეგიული მიზანი 4: სტუდენტების საწარმოო პრაქტიკით უზრუნველყოფისა და დასაქმების შესაძლებლობების გაუმჯობესება;

აღნიშნული მიზნის მისაღწევად საზღვაო აკადემიამ უნდა გადაჭრას შემდეგი ამოცანები:

1. საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოსთან და კურსდამთავრებულთა დამსაქმებელ სამსახურებთან თანამშრომლობის გაფართოება და გაძლიერება;
2. დასაქმების სფეროში ახალი ეროვნული და საერთაშორისო ორგანიზაციების მოძიება და მათთან თანამშრომლობის ურთიერთ სასარგებლო მემორანდუმებისა და ხელშეკრულებების გაფორმება;
3. უცხო ქვეყნის გემთმფობელებთან და გემთმენეჯმენტებთან პირდაპირი კავშირებისა და თანამშრომლობის განვითარება.



5.5. სტრატეგიული მიზანი 5: უწყვეტი განათლებისა და დისტანციური სწავლების სისტემების განვითარება;

აღნიშნული მიზნის მისაღწევად საზღვაო აკადემიამ უნდა გადაჭრას შემდეგი ამოცანები:

1. საზღვაო აკადემიაში უწყვეტი განათლების სისტემის განვითარების მიმართულებების გამოკვლევა და ამის საფუძველზე საზღვაო აკადემიისათვის პრიორიტეტული და პერსპექტიული LLL კურსების დადგენა;
2. უწყვეტი განათლების ცენტრში მაღალი ხარისხის სასწავლო გარემოს შექმნა და მსმენელთა უზრუნველყოფა თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი LLL კურსებით/პროგრამებით;
3. აკადემიური პროგრამების, ცალკეული სასწავლო კურსებისა და უწყვეტი განათლების კურსების დისტანციური სწავლების სისტემის განვითარება;
4. LLL კურსების განხორციელების მაღალი ხარისხის უზრუნველყოფა და მუდმივი განვითარება.

5.6. სტრატეგიული მიზანი 6: სწავლებისა და წვრთნის პროცესისა და აკადემიური კვლევების უზრუნველყოფა თანამედროვე სასწავლო და საკვლევო ლაბორატორიებით, სიმულატორებითა და სხვა საჭირო აღჭურვილობით;

აღნიშნული მიზნის მისაღწევად საზღვაო აკადემიამ უნდა გადაჭრას შემდეგი ამოცანები:

1. საწვრთნელი გემისა და სწრაფმავალი კატარლის შეძენა;
2. სანავიგაციო ხიდურისა და სამანქანე განყოფილების სიმულატორული სასწავლო კაბინეტების მოწყობა;

ND 2-006-01
სტატუსი: მოქმედი
რევიზია № 2
რევიზიის თარიღი 20.09.2016
მოქმედებაშია 02.09.2010

მოქმედად არ მათვალვება დოკუმენტის აჩვენები ნაბეჭდი ასლი თუ მას არ აქვს რევიზიის რეგისტრირებული კოდი. რევიზიის ასლზე დაატანება პროცესზე პასუხისმგებელი პირის მოთხოვნით. წინასწარ შეთანხმებული ასლი მათვალვება როგორც „არაკონტროლირებადი“ დოკუმენტი და მასზე ხარისხის საშუალო პასუხისმგებლობას არ იღებს. დოკუმენტის ხილი და კონტროლირებადი ასლი იხილეთ ვებგვერდზე www.office.bsma.edu.ge



3. გემისა და ტერმინალის ერთობლივი სატვირთო ოპერაციების სიმულატორის შექმნა;
4. სამანქანე განყოფილების პრაქტიკული უნარების დარბაზის სრული განახლება;
5. აუდიტორიების მოდერნიზირება და აღჭურვა უახლესი კომპიუტერული, ინტერნეტ და სადემონსტრაციო ტექნოლოგიებით;
6. არსებული რეალური, ტრენაჟერული და სიმულატორული სასწავლო ლაბორატორიების ტექნიკური და პროგრამული განახლება.

5.7.სტრატეგიული მიზანი 7: სასწავლო პროცესისა და აკადემიური კვლევების უზრუნველყოფა თანამედროვე პროფესიული ცოდნითა და სწავლების ინოვაციური მეთოდებით აღჭურვილი აკადემიური პერსონალით;

აღნიშნული მიზნის მისაღწევად საზღვაო აკადემიამ უნდა გადაჭრას შემდეგი ამოცანები:

1. მაღალკვალიფიციური აკადემიური და პედაგოგიური პერსონალის მოზიდვისა და სამსახურში აყვანის პროცედურების გაუმჯობესება/დახვეწა;
2. აკადემიური და პედაგოგიური პერსონალის პროფესიული განვითარების საშუალებებისა და მეთოდების გაუმჯობესება და მათი მონაწილეობის გაფართოება თანამედროვე სწავლების მეთოდების დანერგვის ღონისძიებებში;
3. აკადემიური და პედაგოგიური პერსონალის გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის გაზრდა;
4. აკადემიური და პედაგოგიური პერსონალის საერთაშორისო და ეროვნულ კვლევით და საგანმანათლებლო პროექტებში მონაწილეობის წახალისება.



5.8. სტრატეგიული მიზანი 8: აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის სამუშაო პირობების გაუმჯობესება;

აღნიშნული მიზნის მისაღწევად საზღვაო აკადემიამ უნდა გადაჭრას შემდეგი ამოცანები:

1. აუდიტორიების, სასწავლო ლაბორატორიებისა და კაბინეტების აღჭურვა უახლესი სასწავლო და საკვლევე აღჭურვილობით;
2. პერსონალის უზრუნველყოფა თანამედროვე საინფორმაციო საშუალებებით;
3. საზღვაო სფეროში საერთაშორისო მასშტაბის კონფერენციების სისტემატიური ორგანიზება;
4. ბეჭდვითი აღჭურვილობის შექმნა და საგამომცემლო საქმიანობის ორგანიზება სასწავლო და კვლევითი შინაარსის ნაშრომების გამოსაქვეყნებლად;
5. გულწრფელობის, ნდობისა და პატივისცემის ატმოსფეროს შექმნა, ადმინისტრაციულ, აკადემიურ და დამხმარე პერსონალს შორის.

5.9. სტრატეგიული მიზანი 9: საზღვაო აკადემიის თანამშრომლობის გაძლიერება დასაქმების სფეროსა და სხვა დაინტერესებული საზოგადოების წარმომადგენლებთან;

აღნიშნული მიზნის მისაღწევად საზღვაო აკადემიამ უნდა გადაჭრას შემდეგი ამოცანები:

1. საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს ჩართულობის გაზრდა საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, აკრედიტაციის და კურსდამთავრებულებზე კვალიფიკაციის მინიჭების პროცესებში;



2. დასაქმების სფეროს წარმომადგენლების სისტემატიური მოწვევა საზღვაო აკადემიაში და მათთან თანამშრომლობის ფორმატის განსაზღვრა;
3. კურსდამთავრებულთა დასაქმების სტატისტიკური აღრიცხვა.

5.10. სტრატეგიული მიზანი 10: თანამშრომლობის გაფართოება და დაძლიერება ადგილობრივ, რეგიონალურ და საერთაშორისო ინსტიტუციებთან;

აღნიშნული მიზნის მისაღწევად საზღვაო აკადემიამ უნდა გადაჭრას შემდეგი ამოცანები:

1. მსოფლიოს წამყვან საზღვაო საგანმანათლებლო ცენტრებთან თანამშრომლობის გაფართოება სასწავლო და კვლევით სფეროში;
2. სასწავლო და კვლევითი აქტივობის გაძლიერება საქართველოს წამყვან უნივერსიტეტებთან.

ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის განვითარების სტრატეგიული გეგმა მოიცავს იმ ღონისძიებების ჩამონათვალს, რომლებიც უნდა განხორციელდეს მომდევნო 7 წლის განმავლობაში.

წინამდებარე გეგმა მოამზადა სტრატეგიული გეგმის შედგენის კომისიამ.

სტრატეგიული გეგმას ამტკიცებს საზღვაო აკადემიის სენატი.

სტრატეგიული გეგმის საფუძველზე ხდება აკადემიის განვითარების ერთწლიანი სამოქმედო გეგმების შედგენა, რომლის შესრულებაზე პასუხისმგებელი არიან შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელები.

საერთო ზედამხედველობას სტრატეგიულ გეგმაში დასახული ამოცანების შესრულებაზე ახორციელებს აკადემიის რექტორი.

ND 2-006-01
სტატუსი: მოქმედი
რევიზია № 2
რევიზიის თარიღი 20.09.2016
მოქმედებაშია 02.09.2010

მოქმედებს არსებული დოკუმენტის აქტიურობის ნაბეჭდი ასლი. თუ მას არ აქვს რევიზია „აღრიცხული ვებ-გვერდი“. რევიზია ასევე დაატანეს პროექტზე პასუხისმგებელი პირის მოთხოვნით. წინააღმდეგ შემთხვევაში ასლი ჩაივლიდა როგორც „არაკონტროლირებადი“ დოკუმენტი და მასზე ხარისხის საშუალო პასუხისმგებლობას არ იღებს. დოკუმენტის ხილი და კონტროლირებადი ასლი იხილოთ ვებგვერდზე www.office.bsma.edu.ge